

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI
საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელი
(+995) 577 719134; tkupunia@ndi.org

20 დეკემბერი, 2013

კოალიცია ქართული ოცნება ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ძალად რჩება, ხოლო ალასანია და მარგველაშვილი ყველაზე მოწონებადი სახელისუფლებო ლიდერები არიან

თბილისი - დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევის მიხედვით, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ყველაზე მოწონებადი სახელისუფლებო ლიდერები არიან და თითოეული მათგანის მოწონების მაჩვენებელი 72 პროცენტს შეადგენს. გამოკითხულთა 61 პროცენტი კოალიცია ქართულ ოცნებას მათთან ყველაზე ახლოს მდგომ „პარტიად“ მიიჩნევს.

პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის შემდეგი ყველაზე მოწონებადი ლიდერია და მისი მოწონების მაჩვენებელი 71 პროცენტს შეადგენს, ხოლო პარლამენტის თავჯდომარის დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი 65 პროცენტია.

გამოკითხულთა 82 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოკითხულთა 52 პროცენტმა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა, რაც სექტემბრის კვლევასთან შედარებით 10 პროცენტით გაზრდილი მაჩვენებელია. რესპონდენტებმა აგრეთვე დაასახელეს დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო, როგორც შემდეგი ძლიერი ოპოზიციური პარტია - 8 პროცენტი. ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შორის, გამოკითხულები, უმცირესობის ლიდერს დავით ბაქრაძეს, ყველაზე პოპულარულ ოპოზიციურ ლიდერად მიიჩნევენ. მისი მოწონების მაჩვენებელი 48 პროცენტია. მას მოსდევს შალვა ნათელაშვილის მოწონების მაჩვენებელი - 34 პროცენტი და გიორგი თარგამაძის მოწონების მაჩვენებელი - 32 პროცენტი.

„საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, კოალიცია ქართული ოცნება კვლავ ყველაზე მოწონებად პოლიტიკურ ძალად რჩება მისი ლიდერების ჩათვლით; თუმცა, გამოკითხულები ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და დავით ბაქრაძეს წამყვან ოპოზიციურ ძალად მიიჩნევენ“, - მზობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო.

აღნიშნული შედეგები წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევის - „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, - შემადგენელ ნაწილს ([NDI-ის 2013 წლის ნოემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები](#)), რომლის მიხედვითაც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

კვლევა ამა წლის 13 ნოემბრიდან 27 ნოემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,915 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2%.

NDI-ის კვლევებს ავინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org